<u>**დანართი #2**</u>

ღია კონკურსის პროგრამა, პირობები, კანდიდატის შეფასების ფორმა და ჩატარების გრაფიკი

<u>**ვაკანტური თანამდებობა**</u>

ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის, ვირუსოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის და გენომის შემსწავლელი დეპარტამენტის, გრიპის და რესპირატორული ვირუსების ლაბორატორიის სპეციალისტი

სამუშაო განკვეთი: სრული

ანაზღაურება: 650 ლარი (დარიცხული თანხა)

<u>**საკონკურსო კომისიის მისამართი**</u>

მისამართი: 0198 თბილისი, კახეთის გზატკეცილი, №99

ელ. ფოსტა: hr@ncdc.ge

ტელეფონი: 116001

<u>**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**</u>

განათლება:

სავალდებულოა: უმაღლესი განათლება: მედიცინის ან ბიოლოგიის მიმართულებით.
სავალდებულოა: არანაკლებ 6 თვიანი სამუშაო გამოცდილება ლაბორატორიული მიმართულებით.
სავალდებულოა: კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office: Word, Excel, Power Point, Outlook);

სავალდებულოა: ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;

სასურველია: ინგლისური ენის ცოდნა (B1 დონე).

უნარ-ჩვევები:

გუნდური მუშაობის უნარი;
ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;
ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
დროის ეფექტურად მართვის უნარი;

<u>**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**</u>

- ნიმუშების მიღება, რეგისტრაცია, წინასწარი დამუშავება და შესაბამის პირობებში შენახვა;
- ლაბორატორიული ტესტების ჩატარებისათვის საჭირო შესაბამისი რეაგენტების წინასწარი მომზადება დანერგილი სპეციფიური პროცედურებისა და პროტოკოლების მიხედვით;
- ლაბორატორიული ტესტების ან ექსპერიმენტების ჩატარება არსებული სოპ–ების მიხედვით:
- გრიპისა და სხვა რესპირატორული ვირუსული პათოგენების დეტექცია მ.შ SARS-CoV-2 ვირუსის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (PCR) მეთოდით;
- გრიპისა ვირუსების კულტივირება უჯრედულ ხაზებში, ჰემაგლუტინაციის ინჰიბირების რეაქციების დადგმა;

- ვირუსული პათოგენის ტიპირება/ქვეტიპირება მოლეკულური (სანგერის სექვენირება) მეთოდის გამოყენებით;
- ლაბორატორიული კვლევისას გამოყენებული მასალის შენახვა/განადგურების უზრუნველყოფა;
- ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებზე პასუხისმგებლობა, კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და მონაცემთა შემდგომი დამუშავება/ანალიზი;
- კვლევის შედეგების გაფორმება და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა;
- პასუხის გაფორმება, შესაბამისი ლაბორატორიული დოკუმენტაციის წარმოება;
- გამოყენებული ლაბორატორიული დანადგარების და ინსტრუმენტების ჩანაწერების (კვლევის შედეგები, ხარისხის კონტროლისა და მომსახურების შედეგები) არქივირება;
- სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა; სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებაში მონაწილეობა; საერთაშორისო კონფერენციებზე მონაცემების წარდგენა;
- მონაწილეობა არსებული ლაბორატორიული პროცესების ტექნიკური ოპერაციული პროცედურების (SOP) შექმნასა და მათ დანერგვაში;
- მონაწილეობა სახარჯი მასალებისა და რეაქტივების შეუფერხებელი მუშაობისათვის აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრაში;
- მონაწილეობა აპარატურის პერიოდული მონიტორინგის განხორციელებაში;
- მონაწილეობა ლაბორატორის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფაში;
- შესაბამისი ლაბორატორიული ჟურნალის წარმოება დადგენილი წესების მიხედვით;
- სამუშაოს შესაბამისი ბიოუსაფრთხოების წესების ცოდნა და უზრუნველყოფა; ნიმუშისა და პირადი უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვა;

<u>კონკურსის წესი</u>

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია და შეავსონ აპლიკაცია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

დაინტერესებულმა აპლიკანტმა უნდა ატვირთოს:

- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დიპლომი);

- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები: შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ;

- მიუთითოს ერთი რეკომენდატორის გვარი და სახელი, თანამდებობა, ელ. ფოსტა და საკონტაქტო ტელეფონი.

დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის მომდევნო ეტაპზე.

<u>კონკურსის ეტაპები</u>

- განცხადებების გადარჩევა
- ზეპირი დავალება
- გასაუბრება

<u>გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა</u>

საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ქულათა სისტემის საფუძველზე, განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მაქსიმუმ 3 თვის ვადაში.